საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N576

2005 წლის 21 ოქტომბერი ქ. თბილისი

საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საჯარო სკოლების პედაგოგთა შრომის ანაზღაურების ოდენობის და პირობების დადგენის, აგრეთვე ხელფასზე დანამატის გაანგარიშების კრიტერიუმების შექმნისა და ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესრულების მიზნით, 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ჭ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილებით დამტკიცებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტის საფუძველზე ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ თანდართული ინსტრუქცია;
2. ბრძანების მოქმედება გავრცელდეს 2005 წლის პირველი ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე;
3. დამტკიცდეს დანართები N1, N2, N3 და N4;
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე;

მინისტრი *ალექსანდრე ლომაია*

ინსტრუქცია საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ *(18.12.2007 N 1285)*

მუხლი 1. სქემის დახასიათება

საჯარო სკოლის პედაგოგთა შრომის ანაზღაურების სქემა ითვალისწინებს მასწავლებლების ხელფასების და ხელფასებზე დანამატების გაანგარიშების (მინიმალური ზღვარი) პრინციპებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) პედაგოგის განათლება და კვალიფიკაცია;

ბ) საჯარო სკოლაში პედაგოგის თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება (სამუშაო სტაჟი);

გ) სამუშაოს სპეციფიკა:

გ.ა) სამუშაო დატვირთვა მოსწავლეების რაოდენობის მიუხედავად; *(22.04.2008 N374)*

გ.ბ) კლასკომპლექტი (ორ ან ორზე მეტ გაერთიანებულ კლასთან ერთი მასწავლებლის მუშაობა) ;

გ.გ) არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის და საქართველოს გეოგრაფიის სწავლება;

გ.დ) კლასის დამრიგებლობა;

გ.ე) სამუშაო დატვირთვა სამუშაო საათების მიხედვით;

მუხლი 2. პედაგოგის განათლება და კვალიფიკაცია

1. შრომის ანაზღაურების სქემის მიხედვით განსაზღვრულია პედაგოგთა განათლების და კვალიფიკაციის ხუთი საფეხური:

ა) სრული ზოგადი განათლება;

ბ) პროფესიული განათლება;

გ) ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

დ) მაგისტრის აკადემიური ხარისხი, აგრეთვე 5 წლიანი უმაღლესი განათლების დიპლომი, 2000 წლის ჩათვლით მიღებული 4 წლიანი უმაღლესი პედაგოგიური განათლება და 5 წლიანი დაუსწრებელი პედაგოგიური საგანმანათლებლო პროგრამის შედეგად გაცემული დიპლომი;

ე) დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი (მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი).

2. თითოეულ საფეხურს მინიჭებული აქვს კოეფიციენტი, რომელიც საბაზო ხელფასზე („ა“) გადამრავლებით განსაზღვრავს პედაგოგის ხელფასს ქვემოთ მოყვანილი ფორმულის („ბ“) მიხედვით: *(31.12.2008 N1184 ამოქმედდეს 2009 წლის 1 იანვრიდან)*

ა) საბაზო ხელფასი უტოლდება 220 ლარს;

ბ) Sal(m*) = Sal(b)*Ed(c) + Sal(b)*Ed(c)*WS(c) + Sal(b)*WE(c)*WS(c)*

სადაც:

Sal(m*) =* გასაანგარიშებელი ერთი თვის სახელფასო განაკვეთი;

Sal(b)=* ერთი თვის საბაზო ხელფასი (220 ლარი);

Ed(c) = პედაგოგის განათლების შესაბამისი კოეფიციენტი;

WS(c) = პედაგოგის სამუშაოს სპეციფიკის კოეფიციენტი (0.15 კლასში მოსწავლეთა ნებისმიერი რაოდენობისათვის);

WE(c)= პედაგოგის სამუშაო სტაჟის შესაბამისი კოეფიციენტი;

შენიშვნა - კლასკომპლექტით სწავლება არაქრთულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის და საქართველოს გეოგრაფიის სწავლებათა და კლასის დამრიგებლობით განსაზღვრული დანამატები გამოიანგარიშება ცალკეე მინიჭებული კოეფიციენტების საბაზო ხელფაზე გადამვრალებით. აღნიშნული დანამატები არ არის მოცემული ზემოთ მითითებულ ფორმულაში, ვინაიდან ისინი არ არის დამოკიდებული პედაგოგთა ცენზზე და სამუშაიო გამოცდილებაზე. აღნიშნული დანამატები მოცემულია წინამდებარე ინსტრუქციის მე-4 დანართში.

(2. თითოეულ საფეხურს მინიჭებული აქვს კოეფიციენტი, რომელიც საბაზო

ხელფასზე („ა“) გადამრავლებით განსაზღვრავს პედაგოგის ხელფასს ქვემოთ მოყვანილი ფორმულის („ბ“) მიხედვით: *(31.12.2008 N1184 ამოქმედდეს 2009 წლის 1 სექტემბრიდან)*

ა) საბაზო ხელფასი უტოლდება 245 ლარს;

ბ) Sal(m*) = Sal(b)*Ed(c) + Sal(b)*Ed(c)*WS(c) + Sal(b)*WE(c)*WS(c)*

სადაც:

Sal(m*) =* გასაანგარიშებელი ერთი თვის სახელფასო განაკვეთი;

Sal(b)=* ერთი თვის საბაზო ხელფასი (245 ლარი);

Ed(c) = პედაგოგის განათლების შესაბამისი კოეფიციენტი;

WS(c) = პედაგოგის სამუშაოს სპეციფიკის კოეფიციენტი (0.15 კლასში მოსწავლეთა ნებისმიერი რაოდენობისათვის);

WE(c)= პედაგოგის სამუშაო სტაჟის შესაბამისი კოეფიციენტი;

შენიშვნა - კლასკომპლექტით სწავლება არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის და საქართველოს გეოგრაფიის სწავლებათა და კლასის დამრიგებლობით განსაზღვრული დანამატები გამოიანგარიშება ცალკეე მინიჭებული კოეფიციენტების საბაზო ხელფაზე გადამვრალებით. აღნიშნული დანამატები არ არის მოცემული ზემოთ მითითებულ ფორმულაში, ვინაიდან ისინი არ არის დამოკიდებული პედაგოგთა ცენზზე და სამუშაიო გამოცდილებაზე. აღნიშნული დანამატები მოცემულია წინამდებარე ინსტრუქციის მე-4 დანართში.)

მუხლი 3. სამუშაო სტაჟი

1. პედაგოგთა სამუშაო სტაჟი ითვალისწინებს პედაგოგის თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილებას: 5 წლამდე, 5-დან 10 წლის ჩათვლით, და 10 წლის ზემოთ. თითოეულ საფეხურს მინიჭებული აქვს შესაბამისი კოეფიციენტი, რომელიც პედაგოგთა განათლებისა და სამუშო დატვირთვის კოეფიციენტებთან ერთობლიობაში განსაზღვრავს ხელფასის განაკვეთს.

2. 5 წლამდე მუშაობის გამოცდილების მქონე პედაგოგთა ხელფასები განსაზღვრულია წინამდებარე ინსტრუქციის 1-ლ დანართში, 5-დან 10 წლამდე - მე-2 დანართში, ხოლო 10 წლის ზევით - მე-3 დანართში.

მუხლი 4. სამუშაოს სპეციფიკა

1. პედაგოგთა ხელფასზე დანამატი მოსწავლეების რაოდენობის მიუხედევად განისაზღვრება 0.15 კოეფიციენტით. *(22.04.2008 N374)*

2. დანამატები, რომლებიც განსაზღვრულია კლასკომპლექტით სწავლებისათვის, არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის და საქართველოს გეოგრაფიის სწავლებისათვის და კლასის დამრიგებლობისათვის ასევე განისაზღვრება კოეფიციენტებით. დანამატი კლასის დამრიგებლობისათვის მოსწავლეთა რაოდენობის მიუხედავად განისაზღვრება 0.123 კოეფიციენტით. *(22.04.2008 N374)*

(2. დანამატები, რომლებიც განსაზღვრულია კლასკომპლექტით სწავლებისათვის, არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის და საქართველოს გეოგრაფიის სწავლებისათვის და კლასის დამრიგებლობისათვის ასევე განისაზღვრება კოეფიციენტებით. დანამატი კლასის დამრიგებლობისათვის მოსწავლეთა რაოდენობის მიუხედავად განისაზღვრება 0.255 კოეფიციენტით. *(31.12.2008 N1184 ამოქმედდეს 2009 წლის 1 სექტემბრიდან)*)

3. კლასკომპლექტით, არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის და საქართველოს გეოგრაფიის სწავლებითა და კლასის დამრიგებლობით განსაზღვრული დანამატები არ არის დამოკიდებული პედაგოგთა ცენზზე და სამუშაო გამოცდილებაზე. აღნიშნული დანამატები მოცემულია წინამდებარე ინსტრუქციის მე-4 დანართში.

მუხლი 5. ხელფასის გამოთვლა სამუშაო დატვირთვის მიხედვით

1. მასწავლებლის ხელფასი გამოითვლება მისი დატვირთვის საფუძველზე. არსებობს 3 ტიპის დატვირთვა: ნაწილობრივი, სრული და სრულზე მეტი.

2. 1-ელ, მე-2 და მე-3 დანართებში მოცემულია სრული დატვირთვის მქონე მასწავლებლის ხელფასი. სრული დატვირთვა ნიშნავს 36 საათიან სამუშაო კვირას, რომლის შემადგენლობაშიც შედის 18–19-20 საგაკვეთილო საათი კვირაში.

3. ნაწილობრივი დატვირთვის მქონე მასწავლებელი კვირაში მუშაობს 36–ზე ნაკლებ სამუშაო საათს, რომელთა შორის საგაკვეთილო საათები 18–ზე ნაკლებია. ნაწილობრივი დატვირთვის დროს მასწავლებელს პროპორციულად უმცირდება ხელფასი, დანამატები, გარდა სადამრიგებლო დანამატისა (მე-4 დანართის მიხედვით) და საერთო სამუშაო საათების ოდენობა. მაგალითად: თუ მასწავლებელი ატარებს 10 საგაკვეთილო საათს, მაშინ მისი ხელფასი=სრული დატვირთვის ხელფასი (დანამატების ჩათვლით), შეფარდებული18*10 (საგაკვეთილო საათების ოდენობა), ხოლო მისი სამუშაო საათების საერთო რაოდენობა=10 (საგაკვეთილო საათების ოდენობა)*2-ზე.

4. სრულზე მეტი დატვირთვა აქვს მასწავლებელს, რომელიც სკოლაში მუშაობს 40 სამუშაო საათს და მათ შორის ატარებს კვირაში 21 ან მეტ საგაკვეთილო საათს. 20–ზე მეტი ნებისმიერი საგაკვეთილო საათის ჩატარებისას (21,22,23 ...) მასწავლებელს ეძლევა სრული განაკვეთის ხელფასზე დანამატი 25 ლარის ოდენობით. *(18.02.2008 N128)*

5. მიუხედავად იმისა, რომ ხელფასი მასწავლებელს ეძლევა არა მხოლოდ საგაკვეთილო საათების ჩატარებისთვის (სრული დატვირთვის მასწავლებელს 36 საათიანი სამუშაო კვირისთვის), ეს არ ნიშნავს, რომ მასწავლებელი სამუშაო საათებში (საგაკვეთილო საათების გარდა) აუცილებლად იმყოფებოდეს სკოლაში. მასწავლებელს უფლება აქვს საერთო სამუშაო (პედაგოგის განათლების დონის ამაღლება, მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა, სასწავლო მასალის მომზადება და სხვა) შეასრულოს სახლში. თუ სკოლის ადმინისტრაცია თვლის, რომ მასწავლებელი ვერ აღწევს სასურველ შედეგებს სწავლებისას, დირექცია

უფლებამოსილია მასწავლებელს მოსთხოვოს არასაგაკვეთილო საათების პერიოდში სკოლაში მუშაობა სწავლების შედეგების გაუმჯობესებამდე.

მუხლი 6. პედაგოგის ხელფასის გაანგარიშების მაგალითი

1. გამოვითვალოთ სრული დატვირთვის მქონე პედაგოგის ხელფასი, რომელსაც გააჩნია:

ა) მაგისტრის აკადემიური ხარისხი, აგრეთვე 2000 წლის ჩათვლით მიღებული 4 წლიანი უმაღლესი პედაგოგიური განათლება,

ბ) 10 წლიანი სამუშაო სტაჟი;

გ) ამოღებულია *(22.04.2008 N374)*

2. ამავდროულად იგი ასწავლის საქართველოს ისტორიას არაქართულ სკოლაში და დამრიგებლობს 35 მოსწავლეს.

3. მითითებული პედაგოგის ხელფასის გაანგარიშების უმარტივესი გზაა: *(22.04.2008 N374)*

ა) განვიხილოთ დანართი №2, სადაც მოცემულია 5 - დან 10 წლის ჩათვლით სამუშაო გამოცდილების მქონე პედაგოგების ხელფასები (ჩვენს შემთხვევაში პედაგოგის ხელფასი შეადგენს 288.20 ლარს); *(31.12.2008 N1184 ამოქმედდეს 2009 წლის 1 იანვრიდან)*

ბ) განვიხილოთ დანართი №4, სადაც მოცემულია სწავლება კლასკომპლექტით არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის და საქართველოს გეოგრაფიის სწავლებითა და კლასის დამრიგებლობით განსაზღვრული დანამატები (ჩვენს შემთხვევაში დანამატი შეადგენს 22.0+27.06=49.06 ლარს); *(31.12.2008 N1184 ამოქმედდეს 2009 წლის 1 იანვრიდან)*

გ) შევკრიბოთ ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მიღებული თანხები (288.20 +49.06=337.26 ლარი), ანუ პედაგოგის ერთი თვის ხელფასი შეადგენს 337.26 ლარს. *(31.12.2008 N1184 ამოქმედდეს 2009 წლის 1 იანვრიდან)*

(ა) განვიხილოთ დანართი N2, სადაც მოცემულია 5 - დან 10 წლის ჩათვლით სამუშაო გამოცდილების მქონე პედაგოგების ხელფასები (ჩვენს შემთხვევაში პედაგოგის ხელფასი შეადგენს 320.95 ლარს); *(31.12.2008 N1184 ამოქმედდეს 2009 წლის 1 სექტემბრიდან)*

ბ) განვიხილოთ დანართი N4, სადაც მოცემულია სწავლება კლასკომპლექტით არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის და საქართველოს გეოგრაფიის სწავლებითა და კლასის დამრიგებლობით განსაზღვრული დანამატები (ჩვენს შემთხვევაში დანამატი შეადგენს 24.5+62.5=87.00 ლარს); *(31.12.2008 N1184 ამოქმედდეს 2009 წლის 1 სექტემბრიდან)*

გ) შევკრიბოთ ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მიღებული თანხები (320.95 +87.00=407.95 ლარი), ანუ პედაგოგის ერთი თვის ხელფასი შეადგენს 407.95 ლარს. *(31.12.2008 N1184 ამოქმედდეს 2009 წლის 1 სექტემბრიდან)*)

4. აღნიშნული პედაგოგის ხელფასის გამოთვლა ასევე შეიძლება ზემოთ მოყვანილი ფორმულის მეშვეობითაც. ამ შემთხვევაში უნდა დავეყრდნოთ შესაბამის

დანართებში მოცემულ კოეფიციენტებს და შევასრულოთ მარტივი არითმეტიკული მოქმედებანი. კერძოდ ჩვენს შემთხვევაში: *(22.04.2008 N374)*

ა) 220*1,1+220*1,1*0,15+220*0,3*0,15=288.20 ლარი (დანართი №2); *(31.12.2008 N1184 ამოქმედდეს 2009 წლის 1 იანვრიდან)*

ბ) 220*0,1+220*0,123=49.06 არი (დანართი №4); *(31.12.2008 N1184 ამოქმედდეს 2009 წლის 1 იანვრიდან)*

გ) შევკრიბოთ ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მიღებული თანხები 288.20 +49.06 =337.26 ლარი. *(31.12.2008 N1184 ამოქმედდეს 2009 წლის 1 იანვრიდან)*

(ა) 245*1,1+245*1,1*0,15+245*0,3*0,15=320,95 ლარი (დანართი №2); *(31.12.2008 N1184 ამოქმედდეს 2009 წლის 1 სექტემბრიდან)*

ბ) 245*0,1+245*0,255=87 ლარი (დანართი №4); *(31.12.2008 N1184 ამოქმედდეს 2009 წლის 1 სექტემბრიდან)*

გ) შევკრიბოთ ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მიღებული თანხები 20,95+87=407.95 ლარი. *(31.12.2008 N1184 ამოქმედდეს 2009 წლის 1 სექტემბრიდან)*)

დანართი №1 *(31.12.2008 N1184 ამოქმედდეს 2009 წლის 1 იანვრიდან)*

5 წლამდე სამუშაო გამოცდილების მქონე პედაგოგთა სახელფასო განაკვეთები

	განათლება, კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება	**კოეფიციენტები**	**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი**
			კლასში მოსწავლეთა ნებისმიერი რაოდენობა
	კოეფიციენტი		**0.15**
	განათლება და კვალიფიკაცია		**ლარი**
1	სრული ზოგადი განათლება	**0.8**	205.70
2	პროფესიული განათლება	**0.9**	231.00
3	ბაკალავრიატი	**1.0**	256.30
4	მაგისტრატურა	**1.1**	281.60
5	დოქტორი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი	**1.2**	306.90
	სამუშაო გამოცდილება X		
6	X≤ 5 წელი	**0.1**	-
	საბაზო ხელფასი = ბაკალავრიატი = 1 თვე	**220**	

დანართი №2 *(31.12.2008 N1184 ამოქმედდეს 2009 წლის 1 იანვრიდან)*

5-დან 10 წლამდე სამუშაო გამოცდილების მქონე პედაგოგთა სახელფასო განაკვეთები

განათლება, კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება		**კოეფიციენტები**	**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი**
			კლასში მოსწავლეთა ნებისმიერი რაოდენობა
კოეფიციენტი			**0.15**
განათლება და კვალიფიკაცია			**ლარი**
1	სრული ზოგადი განათლება	**0.8**	212.30
2	პროფესიული განათლება	**0.9**	237.60
3	ბაკალავრიატი	**1.0**	262.90
4	მაგისტრატურა	**1.1**	288.20
5	დოქტორი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი	**1.2**	313.50
სამუშაო გამოცდილება X			
6	5 წელი < X ≤10 წელი	**0.3**	-
	საბაზო ხელფასი = ბაკალავრიატი = 1 თვე	**220**	

დანართი №3 *(31.12.2008 N1184 ამოქმედდეს 2009 წლის 1 იანვრიდან)*

10 წლის ზემოთ სამუშაო გამოცდილების მქონე პედაგოგთა სახელფასო განაკვეთები

განათლება, კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება	**კოეფიციენტები**	**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი**
		კლასში მოსწავლეთა ნებისმიერი რაოდენობა
კოეფიციენტები		**0.15**

განათლება და კვალიფიკაცია			**ლარი**
1	სრული ზოგადი განათლება	**0.8**	218.90
2	პროფესიული განათლება	**0.9**	244.20
3	ბაკალავრიატი	**1**	269.50
4	მაგისტრატურა	**1.1**	294.80
5	დოქტორი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი	**1.2**	320.10
სამუშაო გამოცდილება X			
6	X > 10წელი	**0.5**	-
	საბაზო ხელფასი=ბაკალავრიატი=1 თვე	**220**	

დანართი №4 *(31.12.2008 N1184 ამოქმედდეს 2009 წლის 1 იანვრიდან)*

დ ა ნ ა მ ა ტ ე ბ ი
პედაგოგთა ხელფასებზე სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე
(სრული დატვირთვის შემთხვევაში)

		კლასის დამრიგებელი
კლასკომპლექტით სწავლება	მასწავლებლები არაქართულ სკოლებში (ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია და საქართველოს გეოგრაფია)	**სადამრიგებლო მოსწავლეთა ნებისმიერი რაოდენობა**
0.1	**0.1**	**0.123**
22.0	22.0	27.06
საბაზო ხელფასი=ბაკალავრიატი=1თვე	**220**	

(**დანართი №1** *(31.12.2008 N1184 ამოქმედდეს 2009 წლის 1 სექტემბრიდან)*

5 წლამდე სამუშაო გამოცდილების მქონე პედაგოგთა სახელფასო განაკვეთები

	განათლება, კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება	**კოეფიციენტები**	**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი**
			კლასში მოსწავლეთა ნებისმიერი რაოდენობა
	კოეფიციენტი		**0.15**
	განათლება და კვალიფიკაცია		**ლარი**
1	სრული ზოგადი განათლება	**0.8**	229.08
2	პროფესიული განათლება	**0.9**	257.25
3	ბაკალავრიატი	**1.0**	285.43
4	მაგისტრატურა	**1.1**	313.60
5	დოქტორი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი	**1.2**	341.78
	სამუშაო გამოცდილება X		
6	X≤ 5 წელი	**0.1**	-
	საბაზო ხელფასი = ბაკალავრიატი = 1 თვე	**245**	

დანართი №2 *(31.12.2008 N1184 ამოქმედდეს 2009 წლის 1 სექტემბრიდან)*

5-დან 10 წლამდე სამუშაო გამოცდილების მქონე პედაგოგთა სახელფასო განაკვეთები

განათლება, კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება	**კოეფიციენტები**	**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი**
		კლასში მოსწავლეთა ნებისმიერი რაოდენობა
კოეფიციენტი		**0.15**

განათლება და კვალიფიკაცია			**ლარი**
1	სრული ზოგადი განათლება	**0.8**	236.43
2	პროფესიული განათლება	**0.9**	264.60
3	ბაკალავრიატი	**1.0**	292.78
4	მაგისტრატურა	**1.1**	320.95
5	დოქტორი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი	**1.2**	349.13
სამუშაო გამოცდილება X			
6	5 წელი < X ≤10 წელი	**0.3**	-
	საბაზო ხელფასი = ბაკალავრიატი = 1 თვე	**245**	

დანართი №3 *(31.12.2008 N1184 ამოქმედდეს 2009 წლის 1 სექტემბრიდან)*

10 წლის ზემოთ სამუშაო გამოცდილების მქონე პედაგოგთა სახელფასო განაკვეთები

განათლება, კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება		**კოეფიციენტები**	**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი**
			კლასში მოსწავლეთა ნებისმიერი რაოდენობა
კოეფიციენტები			**0.15**
განათლება და კვალიფიკაცია			**ლარი**
1	სრული ზოგადი განათლება	**0.8**	243.78
2	პროფესიული განათლება	**0.9**	271.95
3	ბაკალავრიატი	**1**	300.13
4	მაგისტრატურა	**1.1**	328.30
5	დოქტორი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი	**1.2**	356.48
სამუშაო გამოცდილება X			
6	X > 10წელი	**0.5**	-

	საბაზო ხელფასი=ბაკალავრიატი=1 თვე	**245**	

დანართი №4 *(31.12.2008 N1184 ამოქმედდეს 2009 წლის 1 სექტემბრიდან)*

დ ა ნ ა მ ა ტ ე ბ ი
პედაგოგთა ხელფასებზე სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე
(სრული დატვირთვის შემთხვევაში)

		კლასის დამრიგებელი
კლასკომპლექტით სწავლება	მასწავლებლები არაქართულ სკოლებში (ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია და საქართველოს გეოგრაფია)	**სადამრიგებლო მოსწავლეთა ნებისმიერი რაოდენობა**
0.1	**0.1**	**0.255**
24.5	24.5	62.5
საბაზო ხელფასი=ბაკალავრიატი=1თვე	**245**	

)